

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

2019 წლის ---- -----, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის
შპს „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი „ბათუმი“-ს
დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი „ბათუმი“-ს დაფუძნება და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის
შპს „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი „ბათუმი“-ს
დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

სპორტში მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს მასობრიობა. სხვადასხვა სპორტული ფედერაციები ეტაპობრივად აწარმოებენ სტატისტიკას იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანია ჩართული, როგორც პროფესიული, ასევე სამოყვარულო ნიშნით. ამასთან, რაც მეტი მოყვარულია დაკავებული სპორტით, მით მეტია პროფესიონალად ჩამოყალიბების ალბათობა. ამიტომ მსოფლიოს წამყვანი სპორტული ფედერაციები (ფიფა, ფიზა და სხვა) მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ მასობრივ სახეობებს. ლოგიკა მარტივია: პროფესიულ სპორტსმენად მცირე ნაწილი ყალიბდება, ზოგი ტრავმის, ზოგი არაპროფესიული მიდგომის გამო ანებებს თავს კონკრეტულ სახეობას, მაგრამ სურვილი მუდამ არსებობს სპორტის სივრცეში ყოფნისა. სწორედ ამ დიდი კატეგორიისთვის მასობრივი სპორტის სახეობები წარმოადგენს თვითდამკვიდრებისა და განვითარების აუცილებელ გარემოს. სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობას-ფეხბურთს 60-იანი წლებიდან განშტოების სახით ჩამოყალიბდა ფუტსალი, ასევე ფეხბურთის წიაღიდან იშვა 90-იან წლებში საპლაჟო(ქვიშის) ფეხბურთი და სხვა. ამ თამაშების ორიგინალურობა, სათამაშო წესების სხვა სახეობებთან კომბინირებულობაში გამოიხატებოდა და შედეგმაც არ დააყოვნა: უმაღლესი გაჩნდა ქვიშის ფრენბურთი, ხელბურთი, რაგბი, ქუჩის კალათბურთი, ფუტბეტი, სტრიტბოლი და სხვა ალტერნატიული, მასობრივი სახეობები, რომლებმაც უამრავი ადამიანი შეუნარჩუნა სასპორტო სივრცეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა სახეობაში მაქსიმალურად იზრდება ქალთა ჩართულობის ხარისხი, ქვიშის სახეობათა განვითარების მზარდმა ტემპმა გადააწყვეტინა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ქვიშის სახეობებში ოლიმპიური თამაშების ჩატარება.

მასობრივთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტი. ეს საშუალებას აძლევს მოზარდს სპორტით დაკავდეს სასკოლო ასაკიდან და შემდეგ განაგრძოს სტუდენტობის პერიოდშიც. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა კრიმინალისა და ნარკოდამოკიდებულთა ასაკის გაახალგაზრდავებასთან ბრძოლაა. სწორედ ამ გამოწვევებს პასუხობს მასობრივი, სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტი, თავისი ეფექტურობით. გარდა ამისა, მოზარდებს ადრეული ასაკიდან უყალიბდებათ შეჯიბრებითობის და კონკურენციის უნარი, ასევე იმატებს ქალაქსა და მის გარეთ ახალგაზრდებში კომუნიკაციის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური თამაშებისას საკმაოდ აქტიურია ქომაგობის ელემენტი, რაც თავის მხრივ მასობრიობის კომპონენტის განვითარების გარდა, მაყურებლისა და გულშემატკივრობის კულტურის დანერგვას უწყობს ხელს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქალაქში? მოგეხსენებათ, რომ ბათუმი შავი ზღვისპირეთის გამორჩეული ქალაქია, თავისი ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით. ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ასევე ბოლო პერიოდში ქალაქს შეემატა სპორტული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ობიექტები, რომლებიც გაამარტივებს მასობრივი, სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტის წინსვლას. ნიშანდობლივია, რომ სპორტის მსოფლიო ფედერაციები (მაგ: ფიფა) რეკომენდაციას აძლევს ზღვისპირა ქალაქებს ქვიშის სახეობების განვითარებისთვის, რამაც

ტურისტების დამატებითი ნაკადი უნდა შესძინოს ქალაქს და სხვადასხვა საინტერესო, სპორტული და გასართობი ღონისძიებებით, ბათუმის სტუმრებს ქალაქში კვლავ ჩამოსვლის სურვილის განმტკიცებაში დაეხმაროს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია მუნიციპალური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა, რომელიც გააერთიანებს ქვიშის ფეხბურთის, ფუტსალის და ქალთა გუნდებს. ჩაატარებს ამავე სახეობებში ქალაქში სასკოლო და საუნივერსიტეტო პირველობებს, შექმნის ქალაქის ნაკრებ გუნდებს სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: ორგანიზაციის დაფინანსება განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე: გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან;

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მოზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

განკარგულების პროექტის მოზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მოზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი



მერაბ ქიძინიძე